საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/139

ქ. ბათუმი 22 ოქტომბერი, 2018 წ

,, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ''

ბსუ–ს რექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის №01- 08/127 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13, 25-ე მუხლების, ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 01-08/25 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების'' პირველი მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,ბსუ-ს აკადემიური საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ'' ბსუ–ს რექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის №01-08/127 ბრძანების მ-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებში - 2018 წლის 23 ოქტომბერს (კენჭისყრა დაიწყოს 10 საათზე და დამთავრდეს 17 საათზე).''
2. ბრძანება ჩაბარდეს ბსუ-ს საარჩევნო კომისიას და ინსტიტუტის დირექტორებს.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მ.ხალვაში